სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

99 კახეთის გზატკეცილი
0198 თბილისი, საქართველო
116 001
ncdc@ncdc.ge

22 აგვისტო 2023

NCDC 5 23 00886277

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის
უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის) დროებით მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ირინე ჯავახაძეს

ქალბატონო ირინე,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში - ცენტრი) განიხილა სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიმდინარე წლის 7 აგვისტოს გადმოგზავნილი № 04/533 კორესპოდენცია, რომელიც ეხება ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე არსებული №8 საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვით შეფასების ანგარიშის მომზადების საჭიროების საკითხს.

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისი №655 ბრძანებულების „საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ“ შესაბამისად, ბაკურიანი წარმოადგენს კლიმატური ტიპის პროფილაქტიკური, ალერგოლოგიური და პულმონოლოგიური პროფილის კურორტს, საქართველოს კანონის „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად, კი ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნებისა და მათი დაბინძურების, გაფუჭებისა და გამოფიტვისაგან დაცვის მიზნით უნდა დადგინდეს სანიტარიული დაცვის ზონები.

კურორტის არასწორი განვითარების საფრთხის თავიდან აცილების, კურორტის ფუნქციონალურად დაგეგმვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანია პირველ რიგში შემუშავდეს, დამტკიცდეს და ამოქმედდეს სანიტარიული დაცვის ზონების პროექტი და შესაბამისი რეგულაციები, ხოლო შემდეგ შემუშავდეს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია. სანიტარიული დაცვის ზონების პროექტით განისაზღვრება, ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის: სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები და თითოეული ზონის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებები და შეზღუდვები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე არსებული №8 საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ცენტრის მიერ მოხდება ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინების შემდეგ.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების
დარგში
პაატა იმნაძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად